პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კვირა, 24 იანვარი 1926 წ.

წელიწადი მეხუთე

ფასი 3 კ.

# წითელი არმიელი

16 (1011)

1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩ ელხმენი 2—24

განცხ. ფასი პირ. გვ. 80 კ. სტ. 4 გვ. 40 კ.

## ...ვალყური ადევნე პარტკონფერენციის მუშაობას,

### ...ისწავლე მისი დადგენილებები, გაატარე ცხოვრებაში.

...ამჟამად სწარმოებს ორივე ...ენი დივიზიის პარტკონფერენციები. ჩვენი წითელი ჯა...ის აღმშენებლობის საქმეში ... პარტკონფერენციებს გადამ...რელი მნიშვნელობა აქვთ. რა...ში მდგომარეობს ამ კონფე...ენციების მუშაობა? როგორც ...ევრჯერ აღვინიშნავს, ჩატა...ებულ მუშაობისათვის ჯამის ...აკეთებაში და წარსულ გამოც...ილებების საფუძველზე ახალი ...მოცანების დასახვაში. პარტ...ონფერენციები განსაზღვრავენ ...თელი ჩვენი წითელი ჯარის ...უშაობას თითქმის ერთი წლით. ...მიტომაც თითეული წითელ ...ჯარში მომუშავე პარტიის წევ...რი ვალდებულია დიდის ყუ...რადღებით ადევნოს თვალყური ...იმდინარე პარტკონფერენციე...ბის მუშაობას და დაწვრილებით ...ობიოდეს მას. მხოლოდ მა...შინ იქნება პარტკონფერენციის ...მუშაობა ნაყოფიერი, როცა მი...სი დასრულების შემდეგ თითე...ულ მის მიერ გამოტანილი დადგენილება და დასახული ამოცანა კარგად ექნებათ შეთვისებული ჩვენი ჯარის ყველა პარტორგანიზაციებს და ყველა მათ წევრებს.

სამხედრო პარტიულები მოვალენი არიან აგრეთვე ფართოდ აუხსნან და განუმარტონ წითელ არმიელებს პარტკონფერენციის დადგენილებები.

ეს აუცილებლად საჭიროა, ვინაიდან პარტკონფერენციის დადგენილებები ეხებიან მთელი ჩვენი წითელი ჯარის მომავალ მუშაობას, და ამ მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ არა მარტო პარტიის წევრები, არამედ ყველანი, ვინც წითელ ჯარის რიგებში იმყოფება.

ახალგაზრდა წითელ მებრძოლმა ეს კარგად უნდა შეიგნოს და თავის მხრივაც თვალყური უნდა ადევნოს პარტკონფერენციის მსვლელობას. თითეულ წითელ არმიელმა კარგად უნდა იცოდეს ყოველივე ის, რაც სთქვა და დაადგინა პარტკონფერენციამ. და არა თუ იცოდეს, არამედ ყოველმხრივ ხელს უნდა უწყობდეს ამ დადგენილებების ცხოვრებაში გატარებას.

პარტკონფერენციების ანგარიშები საკმაოდ ვრცლად იქნება მოთავსებულ ჩვენს გაზეთში, რაც დიდათ შეუმსუბუქებს ყველას პარტკონფერენციების ნამუშევარის შესწავლას.

დაწვრილებით შევისწავლოთ პარტკონფერენციების რეზოლიუციები!

ნაყოფიერად გავატაროთ ისინი ცხოვრებაში.

## ბოროტება, რომელიც ძირ-ფესვიანად აღმოფხვრილ უნდა იქმნას წითელ ჯარში.

საბჭოთა კავშირის რევოლიუციონურ სამხედრო საბჭომ გამოსცა ბრძანება, რათა გაძლიერებულ იქმნას ბრძოლა წითელ არმიელების მიერ სახაზინო ნივთების გაყიდვის წინააღმდეგ. ეს დიდი ბოროტება ძირფესვიანად აღმოფხვრილ უნდა იქმნას ჩვენი წითელი ჯარის რიგებში. მიუხედავათ იმისა, რომ არა ერთხელ თქმულა და ახსნილა სახაზინო ნივთების გაყიდვის დაუშვებლობის შესახებ, ამ სამარცხვინო მოვლენას კიდევ აქვს ადგილი ჩვენს სინამდვილეში. კიდევ არსებობენ ისეთი შეუგნებელი წითელ არმიელები, რომლებსაც სახაზინო ნივთები გააქვთ ბაზარზე და ყიდიან. ამით ისინი ორმაგ ზიანს აყენებენ მუშურ გლეხურ სახელმწიფოს.

ერთ იმას, რომ ყიდიან ხალხის ქონებას, რომელიც ყოველთვის სპეკულიანტებს და ვაჭრებს უვარდებათ ხელში. მეორედ ბაზარში ხეტიალით სახალხო ქონების გამფლანგველები კარგავენ სწავლის ძვირფას დროს, გაურბიან სამხედრო-პოლიტიკურ სწავლებას.

სახაზინო ნივთების გამყიდველი წითელ არმიელი—იგივე დეზერტირია. ის ხელს უწყობს დისციპლინის შესუსტებას, ძირს უთხრის წითელი ჯარის ძლიერებას და სიმტკიცეს. ამიტომაც სახაზინო ნივთების გაყიდვას წითელ არმიელების მიერ სასტიკი, დაუნდობელი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს უპირველეს ყოვლისა თვით წითელ არმიელების მიერ. თვით წითელ მებრძოლებმა ყოველგვარი ზომები უნდა მიიღონ, რათა მათ შორის ადგილი არ დაურჩეს ასეთ სამარცხვინო საქციელს.

ამხანაგური დარგების, თუ სასტიკი გაკიცხვის საშუალებით ეს ბოროტება მოსპობილ უნდა იქნას ჩვენ წითელ ჯარში.

რევსამხსაბჭოს ბრძანებასთან ერთად გაცემული არის განკარგულება როგორც სამოქალაქო ადმინისტრაციის ისე კომენდანტურის მიმართ, რათა გაძლიერონ ბაზრების კონტროლი და ებრძოლონ სახაზინო ნივთების გაყიდვას.

საერთო ძალით, დაუნდობელი ბრძოლით ბოლო მოუღოთ ამ საზიზღრობას ჩვენს რიგებში!

—ი.

# ახალი რადიო ამბები

## იაპონიის პარლამენტში.

### პრემიერ კატოს განცხადება.



20 იანვარს გაიხსნა იაპონიის პარლამენტის სხდომა. მთავრობის მუშაობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე კატო.

კატომ აღნიშნა, რომ გასულ წელს იაპონიასა და საბჭოთა კავშირს შორის დადებულ ხელშეკრულებამ საფუძველი ჩაუყარა ბევრ საყურადღებო საკითხების გადაჭრას ორივე მხარეს შორის.

„ჩვენ—განაცხადა მან—მეტად კმაყოფილი ვართ ხელშეკრულების შედეგებით, ვინაიდან ჩვენი მიზანია საბჭოთა კავშირთან მეგობრობის განმტკიცება და საერთო ეკონომიური მდგომარეობის განვითარება.“

## ჩან-ძო-ლინის ხრიკები.

იაპონიის გაზეთი „ხოცი“ განმარტავს აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე მომხდარ უწესოებას და აღნიშნავს, რომ ეს არის ჩან-ძო-ლინის ხრიკები, რათა ამით დაიმსახუროს ჩინეთის ხალხის ყურადღება და გამოასწოროს თავისი შერყეული მდგომარეობა.

## დევნა კომუნისტების წინააღმდეგ

ჩეხო-სლოვაკიაში კომუნისტების წინააღმდეგ დევნა ფართე ხასიათს ღებულობს. უკვე დაპატიმრებულია 250 კაცი.

სამხრეთ-სლავიის მთავრობა ამზადებს კომუნისტების დიდ პროცესს (გასამართლებას).

## ქართველი ემიგრაცია თანდათან იშლება

საფრანგეთიდან საქართველოში გამოემგზავრენ ქართველი ემიგრანტები (საქართველოს გასაბჭოების დროს მენშევიკურ მთავრობასთან ერთად საზღვარგარედ გაქცეულნი) ჯაფარიძე, კაჩუხაშვილი, გლიახოიანი, იმნაძე, გოგინაშვილი და ნაცვლიშვილი.

## საბჭოთა კავშირში

### ლენინის გარდაცვალების 2 წლის თავზე.

მოსკოვში, დიდი თეატრის დარბაზში, ლენინის ხსოვნის აღსანიშნავად გაიმართა რამოდენიმე სახელმწიფოებრივ დაწესებულებების გაერთიანებული სხდომა, რომელსაც დაესწრო აგრეთვე მუშათა ორგანიზაციების წარმომადგენლები.

სხდომაზე ილაპარაკეს პარტიის მოსკოვის კომიტეტის მდივანმა კოტოვმა და განათლების კომისარმა ლუნაჩარსკიმ.

ორატორებმა დაახასიათეს ამხ. ლენინი, როგორც ხელმძღვანელი, და აღნიშნეს კომუნისტური პარტიის მუშაობა ბელადის გარდაცვალების შემდეგ ლენინიზმის დროშის ქვეშ.

დასასრულ სხდომამ მისალმება გაუგზავნა პარტიის ცეკას.

## ვოროშილოვის დაბრუნება მოსკოვში

22 იანვარს მოსკოვში დაბრუნდა და შეუდგა თავის მოვალეობის ასრულებას საბჭოთა კავშირის სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარი ამხ. ვოროშილოვი.

## საქართველოში.

### დახმარება ახალქალაქის მაზრას.

ახალქალაქის მაზრას ეძლევა ნივთიერი დახმარება მთავრობისაგან 100.000 მანეთის რაოდენობით. ამ თანხიდან მაზრა მიიღებს ამ 15.000 მანეთს. დანარჩენს—რამოდენიმე ხანში. ეს დახმარება საშუალებას მისცემს ახალქალაქის მაზრას ჩქარი ნაბიჯით აღადგინოს მეურნეობა და განამტკიცოს მომხმარებელი და საკრედიტო კოოპერაცია.

### ხე-ტყის დამუშავება

საქართველოს სატყეო ტრესტის ჭიათურის განყოფილებამ დაამთავრა გზა საჩხერის ტყეში 36 ვერსის მანძილზე. დაწყებულ იქნა ტყის სიმდიდრის დამუშავება.

პირველი კვირის განმავლობაში დამზადებულ იქნა 10 საჟენი შეშა და 183 რკინის გზის შპალი.

### ახალი საკრედიტო ამხანაგობა.

ოზურგეთში მოწყობილ იქნა ხელოსანთა და შინამრეწველთა საკრედიტო ამხანაგობა.

ამხანაგობის მიზანია სახელოსნო და შინამრეწველობის განვითარება გურიაში, რომელიც მსოფლიო ომის განმავლობაში საგრძნობლად დაეცა.

საკრედიტო ამხანაგობის გახსნა მოხდება ამ დღეებში.

### სიმინდი დაზარალებულ რაიონებისთვის.

ოზურგეთის საკრედიტო ამხანაგობამ ამ მოკლე ხანში უნდა შეიძინოს 10 ვაგონი სიმინდი. სიმინდი მიეცემა მოუსავლობით დაზარალებულ აღმოსავლეთ გურიის მოსახლეობას.

### მანუფაქტურა გლეხთათვის.

აჭარისტანის ცეკავშირმა მიიღო ორი ვაგონი მანუფაქტურა (მოპეტებულად ნარმა და ტილო), რომელიც განაწილებულ იქნება კოოპერატივებზე სოფლად.

---

ორშაბათს, 25 იანვარს, საღამოს 6 საათზე წითელ თეატრში (ყოფ. ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლი) მოწვეულია ტფილისის მუშათა, გლეხთა და წითელ არმიელთა საბჭოს პლენუმის სხდომა.

**დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი**

1. მოხსენება ტფილისის მთლიან მუშათა კოოპერატივის შესახებ,
2. მოხსენება საბინაო საკითხის შესახებ,
3. მ ი მ დ ი ნ ა რ ე საკითხები.

საბჭოს ყველა წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა.

პრეზიდიუმი.

# პირველ ქართულ დივიზიის მეხუთე პარტკონფერენცია

## პირველი დღე.

(გაგრძელება)

განსაკუთრებულ აღფრთოვანებით კონფერენციამ მოისმინა დივიზიის მეთაურის ამხ. ქუთათელაძის მისასალმებელი სიტყვა კონფერენციისადმი, რომელმაც განაცხადა:

„წითელ არმიის ქართულ ნაწილების გამარჯვებით მსვლელობის მეხუთე წელი მთავრდება. ჩვენ ვხედავთ, რომ სავსებით ჩამოყალიბებულია წითელ-არმიის ორგანიზაციული ფორმები, მოწესრიგებულია საკითხი წითელ-არმიის შევსებისა, ჩვენ გვაქვს შემუშავებული ნორმალური პროგრამა, წესდებები და საერთოდ დამაკმაყოფილებელი პირობები ნორმალურ მეცადინეობისათვის. ამჟამად დივიზიის რიგებში არ მოგვეპოვება ისეთი მეთაური, რომელსაც სავსებით არ ქონდეს შეგნებული პოლიტიკური სწავლების დიდი მნიშვნელობა, არც ერთი მეთაური არ ჩასთვლის პოლიტიკური საქმეს მეორე ხარისხოვან საქმეთ. ეს კარგად შეიგნო უპარტიო მასამ, რომელიც ამ პარტკონფერენციას გულის ფანცქალით თვალყურს ადევნებს. მე უპარტიო მასების სახელით გესალმებით თქვენ და გისურვებთ ნაყოფიერობას თქვენს მუშაობაში.

გაუმარჯოს კომპარტიას!

გაუმარჯოს წითელ-არმიას!

(ხანგრძლივი ტაში)

მეორე ქართულ დივიზიის პოლიტგანყოფილების და ქართულ სამხედრო პოლიტიკურ სკოლის სახელით კონფერენციას ესალმება ამხ. გრიშა ნადირაძე, რომელიც გამოთქვამს სურვილს რათა პარტკონფერენციამ გამონახოს პრაქტიკული ზომები სამხედრო პოლიტსკოლის კურსანტების დაკავშირებისათვის ნაწილებთან, რომ კურსანტები გამოშვების დროს მომზადებულად შეხვდნენ ნაწილებში მუშაობას.

მხურვალე ტაშით კონფერენცია ხვდება მისალმებას რუსულ საარტილერიო ლეგიონის წითელ-არმიელსა, რომელიც ამბობს „ბედნიერად ვსთვლი თავს გადმოგცეთ ჩვენი „ლეგიონის წითელ-არმიელთა ღრმა გრძნობები. თუ რომ მეფის არმიაში ჯარისკაცი ჩაგვრის იარაღს წარმოადგენდა, დღეს ჩვენ ვხედავთ სრულ თანამშრომლობას, რომელიც განსაკუთრებით საქ-რო წითელ არმიაში. წითელი არმია დაიბადა სამოქალაქო ომის ცეცხლსა და სისხლში. ეს სახელოვანი ტრადიცია განმტკიცებულ უნდა იქნას. ჩვენი ურთიერთ თანამშრომლობა არის ნაღმი კაპიტალისტურ წესწყობილებისთვის. ჩვენი განმტკიცება გამხრწნელად იმოქმედებს მათ ეროვნულ ჩაგვრის პოლიტიკაზე. წითელ არმიაში ჩვენ მთელი ძალღონე უნდა მოვანდომოდ ჩვენი თანამშრომლობის განმტკიცებას“.

(მხურვალე ხანგრძლივი ტაში).

იმავე არტლეგიონის უპარტიო უკრაინელ წითელ არმიელების სახელით კონფერენციას ესალმება ახალწვეული უკრაინელი ამხ. კარდაში.

თავმჯდომარე ამხ. კვირიკაძე აღნიშნავს, რომ პარტკონფერენციამ დიდი სიხარულით მიიღო მისალმებები, მხოლოდ უდიდესი სიხარული და გავლენა იქონია რუსულ საარტილერიო ლეგიონის წითელ-არმიელების გამოსვლებმა. რუსულ ენაზე ამხ. კვირიკაძე არწმუნებს მათ დივიზიის სახელით, რომ მათი სურვილი მტკიცედ იქნება გატარებული ცხოვრებაში.

„საარტილერიო ლეგიონის 2 წითელ-არმიელის გამოსვლები მაჩვენებელია იმისა რომ მუშათა და გლეხთა წითელ არმია ერთი ძალაა, და მას ყავს თავის რიგებში ისეთი წევრები, რომელნიც გაერკვევიან ყოველგვარ რთულ პირობებში“.

ინტერნაციონალის მღერით მთავრდება პარტკონფერენციის პირველი დღე.

## მეორე დღე.

**20 იანვარი დილის სხდომა.**

მხურვალე ტაშით კონფერენცია ეგებება ამხ. მიშა ოკუჯავას, რომელიც გამოდის მოხსენებით პარტიის მე-XIV ყრილობის შედეგების შესახებ. მოხსენების გარშემო ერთხმად იქნა მიღებული შემდეგი

## რეზოლიუცია.

„პირველი ქართული მსროლელ დივიზიის მე-V პარტკონფერენციამ მოისმინა რა ამხ ოკუჯავას მოხსენება მე-XIV პარტყრილობის შედეგების შესახებ აღნიშნავს: რომ ყრილობას მოუხდა მუშაობა ფრიად სერიოზულ პარტიის, საბჭოთა აღმშენებლობის და საერთაშორისო მდგომარეობის მომენტში, რაც მოითხოვდა პარტყრილობის მხრივ დიდ გამჭრიახობასა და ლენინურ მიდგომას ყველა იმ საკითხებისადმი, რომლებიც იდგა ყრილობის დღის წესრიგში.

მე-XIV ყრილობამ ძველ ლენინურ ტრადიციით სავსებით სწორად მიუდგა საკითხების გარკვევა-გადაწყვეტას და ამასთანავე ერთად შესძლო შეენარჩუნებია პარტიის ლენინური მთლიანობა.

იმ მეტად გართულებულ მდგომარეობამ, რომელმაც წარმოშვა ახალი საკითხები ჩვენს აღმშენებლობაში გამოიწვია აგრეთვე პარტიის ზოგიერთ ხელმძღვანელთა მიერ საკითხებისადმი არა სწორი მიდგომა და ოპოზიციის შექმნა.

მე-V პარტკონფერენცია სცნობს რა დაუშვებლად ოპოზიციის გამოსვლას, რომელიც ემუქრება პარტიის მთლიანობას და ლენინიზმის გზიდან გადახვევას, სავსებით იზიარებს მე-XIV ყრილობის გადაწყვეტილებებს და ამასთანავე სთვლის აუცილებლად მიიღოს ყოველივე ღონისძიება პარტყრილობის ყველა დადგენილებების პარტიულ ფართო მასებში ახსნა განმარტებისთვის და მათი ლენინურად შეთვისებისთვის.

ამასთანავე ერთად ვაწარმოოდ დაუღალავი მუშაობა ყრილობის დადგენილებათა ცხოვრებაში მტკიცედ გატარებისთვის.

მე-V პარტკონფერენცია 1 ქართულ მსროლელ დივიზიისა მთელი შემადგენლობის სახელით აცხადებს, რომ ის მზად არის პარტიის პირველ გამოძახილისთანავე დაიცვას და განამტკიცოს ოქტომბრის მონაპოვარი.

გაუმარჯოს მსოფლიო პროლეტარიატის ავანგარდს—კომპარტიას!

გაუმარჯოს მის შტაბს—კომუნისტურ ინტერნაციონალს!

გაუმარჯოს კომპარტიის ხელმძღვანელს საკავშირო—ცენტრალურ კომიტეტს!

გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციის და მის მედგარ მებრძოლ მუშურ-გლეხურ წითელ არმიას!

# მეორე ქართულ დივიზიის პირველი პარტკონფერენცია

## პირველი დღე.

პარასკევს 22 იანვარს საღამოს 5 ს. 45 წ. დივიზიის ცენტრალურ კლუბში გაიხსნა მეორე ქართულ დივიზიის პირველი პარტიული კონფერენცია. კონფერენციას დაესწრო 98 დელეგატი გადამჭრელი ხმით და 26 სათათბიროთი. კონფერენციას ხსნის

**ამხ. მარკაროვი,**

რომელიც თავის შესავალ სიტყვაში ამბობს: „ამხანაგებო, ჩვენი პარტიული კონფერენცია არის ერთი საუკეთესო მტკიცება იმისი, თუ როგორი ნაყოფიერობით ჩვენ ვანხორციელებთ ცხოვრებაში ჩვენი განსვენებული ბელადის ანდერძს წითელი არმიის განმტკიცებისა და გაძლიერების შესახებ. აქ საქართველოში ჩვენმა პარტიამ სულ მოკლე ხნის განმავლობაში ჩვენ მუშურ გლეხურ ქვეყანას და მთელ წითელ არმიას მეორე ქართულ დივიზიის სახით შესძინა ერთი საუკეთესო სამხედრო ერთეული.

ჩვენი პარტკონფერენციის გახსნა გვიხდება საყვარელ ბელადის გარდაცვალების ორი წლის თავზე. ამიტომაც ჩვენი პირველი აზრი მის ხსოვნას ეკუთვნის. გთხოვთ ფეხზე ადგომით პატივი ვსცეთ მის ხსოვნას! (ყველანი დგება. ორკესტრი უკრავს სამგლოვიარო მარშს). ამასთანავე ერთად ჩვენ არ შეგვიძლია არ მოვიგონოთ და დიდი მწუხარება არ გამოვსთქვათ წითელი არმიის სახელოვანი ხელმძღვანელის ამხ. ფრუნზეს უდროვოთ დაკარგვის გამო. ამხ. ფრუნზე ერთი მთავარი ინიციატორთაგანი იყო ტერიტორიალური სისტემის გატარების საქმისა და ხშირად როცა მას უხდებოდა ტერ-სისტემის უპირატესობის დასაბუთება, დასამტკიცებელი მაგალითები მას მოყავდა ჩვენი დივიზიის მოღვაწეობის პრაქტიკიდან.

მეტად მძიმე დანაკლისია ჩვენთვის ამხ. ფრუნზეს დაკარგვა, მაგრამ გაასკეცებული ენერგიით და ძალღონით ჩვენ განვაგრძობთ მის მიერ დაწყებულ და ნაანდერძევ ტერიტორიალური აღმშენებლობის საქმეს (ყველანი დგებიან ფეხზე. სამგლოვიარო მარში).

შემდეგ პარტკონფერენცია გადადის პრეზიდიუმის არჩევნებზე, რომელშიდაც არჩეულ იქნენ შემდეგი ამხანაგები: მარკაროვი, ტიგიშვილი, ბლუაშვილი, ადამაძე, ნანაძე, უგულავა, ბარამიძე ქადაგიშვილი, ბელოვი, ტალახაძე, ქაჯაია, კულიჯანოვი (კადრის წითელ არმიელი), ჟვანია (ცვალებადი წითელ არმიელი).

საპატიო პრეზიდიუმში: კლარა ცეტკინა, კაშენი, სადული, სტალინი, ტროცკი, ვოროშილოვი, ბუბნოვი, ორჯონიკიძე, ფილიპე მახარაძე, მიხა ცხაკაია, ელიავა, კახიანი, რატნეკი, ლევანდოვსკი, აღნიაშვილი.

არჩეულ იქმნა აგრეთვე სამდივნო და სამანდატო კომისია. დამტკიცებულ იქმნა პოლიტგანის მიერ შემუშავებული დღის წესრიგი და რეგლამენტი.

პარტკონფერენციას ესალმება საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარე

**ამხ. ფილიპე მახარაძე.**

„მხურვალეთ ვესალმები მეორე ქართულ დივიზიის პარტკონფერენციას. ჩვენ შეკრებილი ვართ მეტად დიდი საქმისათვის. თითეული პარტიის წევრი, იქნება ის წითელ არმიის რიგებში, თუ სხვაგან, მოვალეა ანგარიში მისცეს თავის თავს იმ გარემოებაში, რომელშიდაც ჩვენი პარტია იმყოფება. ამხანაგებო! თქვენ ახალგაზრდებმა უნდა დააფასოთ ის, რაც მრავალ თაობით არის მოპოვებული. წარმოიდგინეთ რომ ამ ოცი წლის წინად მოხდა პირველი რევოლიუცია, რომელიც დამარცხდა. მისი დამარცხების მთავარი მიზეზი იყო ის, რომ მუშები და გლეხები, რომლებსაც ეცვათ მაზარები შეუგნებელი იყვნენ. მას შემდეგ გადის ოცი წელი. ცხოვრება ძირბუდიანათ გამოიცვალა. განსხვავება მაშინდელი ჯარის კაცს და ეხლანდელ წითელარმიელს შორის განუზომელია. მეფის ჯარისკაცი მოკლებული იყო ცოდნის და განვითარების ყოველგვარ წყაროს. ის ჯოხის დისციპლინის მონა იყო. ამიტომ იყო შეუგნებელი. წითელ არმიელის წინაშე კი ფართედ არის გახსნილი გზა სწავლა-განათლებისაკენ, წითელ ყაზარმაში მას სრული შესაძლებლობა ეძლევა გახდეს შეგნებული და კულტურული საბჭოთა მოქალაქე.

ამხანაგებო, თქვენ უნდა ისარგებლოთ ყოველივე ამით, ყველა ამ შესაძლებლობებით და მით ხელი შეუწყოთ თქვენი რიგების განმტკიცებას და მთელი საბჭოთა ქვეყნის წინსვლას და აღორძინებას.

უსურვებ თქვენ. პარტკონფერენციას ნაყოფიერ მუშაობას.

(მხურვალე ტაში).

კავკასიის წითელ დროშოვან არმიის რევსაბჭოს და პოლიტსამმართველოს სახელით ესალმება პოლიტსამმართველოს უფროსი

**ამხ. რატნეკი.**

ამხ. რატნეკი აღნიშნავს, რომ მეორე ქართული დივიზია, კავკასიის წითელ დროშოვან არმიის სხვა ნაწილებთან შედარებით ახალ სამხედრო ერთეულს წარმოადგენს, მაგრამ მიუხედავათ ამისა თავისი ბრძოლის უნარით და სიმტკიცით ის სხვებს არ ჩამოუვარდება. ამხ. რატნეკი მიუთითებს პარტკონფერენციას ტერაღმშენებლობის მიღწევებზე საქართველოში და აგრეთვე იმ მუშაობის სირთულეზე, რომელიც წინ უდგას მეორე დივიზიას. ამხ. რატნეკი გამოსთქვამს იმედს, რომ პარტკონფერენცია უფრო მეტად ილაპარაკებს არა თავის მიღწევებზე, არამედ იმ ნაკლულევანებებზე, რომლებსაც ადგილი ქონდა წარსულ მუშაობაში და მათ გამოსწორებაზე. „მთავარი და ძირითადი ჩვენი ამოცანა არის,—ამბობს ის,—სამხედრო საქმის დაახლოვება და მისი ღრმად განმტკიცება მოსახლეობის ფართო მასაში“. „უსურვებ თქვენ კონფერენციას,—ათავებს ის თავის სიტყვას,—„რომ თავისი მუშაობით მას ხელი შეეწყოს წითელი ჯარის წინსვლისა და განმტკიცებისათვის და მთელი ტერაღმშენებლობის შემდეგი წარმატებითი განვითარებისათვის“. (მხურვალე ტაში).

პარტკონფერენციას ესალმება გაზეთ „მუშის“ პასუხისმგებელი რედაქტორი

**ამხ. საყვარელიძე.**

ამხანაგებო! გაზეთი „მუშა“, რომლის სახელით თქვენ გესალმებით, ემსახურება მუშების გათვითცნობიერების და განვითარების საქმეს. „მუშის“ მიზანი არის აგრეთვე ყოველმხრივ ხელი შეუწყოს მუშების, გლეხების და წითელარმიელების მჭიდრო დაახლოვებას და დაკავშირებას. ამ მხრივ აგრეთვე დიდ როლს თამაშობს ტერიტორიალური სისტემაც, რაც უფრო ფართედ განვითარდება ის, რაც უფრო მაგრად გაიდგამს ფესვებს ჩვენ მუშურ-გლეხურ ქვეყანაში, მით უფრო განმტკიცდება მუშების და გლეხების კავშირი ერთის მხრივ და მშრომელთა კავშირი წითელარმიასთან მეორეს მხრივ.

თქვენ ხართ უშუალო ხელმძღვანელები საქართველოში ტერსისტემის განხორციელებისა და გისურვებთ ნაყოფიერ მუშაობას ამ საქმეში. (ტაში).

პარტკონფერენციამ გაუგზავნა მისასალმებელი დეპეშები საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას, ვოროშილოვს, ბუბნოვს, საქართველოს კომპარტიის ცეკას, კავკასიის წითელ დროშოვან არმიის რევსამხედრო საბჭოს და პოლიტსამმართველოს, პირველ კავკასიის დივიზიის პარტკონფერენციას და პირველ ქართულ დივიზიის პარტკონფერენციას.

ყოველივე ამის შემდეგ პარტკონფერენცია შეუდგა დღის წესრიგის გარჩევას.

მე-14 პარტყრილობის შედეგების შესახებ ვრცელ მოხსენებას აკეთებს

**ამხ. კახიანი,**

რომელსაც კრება მხურვალე ტაშისცემით ხვდება. თავის ორ საათიან მოხსენებაში ამხ. კახიანი დაწვრილებით აშუქებს ყრილობის მუშაობის ყველა მომენტებს, არკვევს ოპოზიციის გამოსვლების უსაფუძვლობას და მათ მიერ დაშვებულ შეცდომებს.

დასასრულ ამხ. კახიანი ეხება იმ გარემოებას, თუ რა დიდი სიხარული გამოიწვია კონტრ-რევოლიუციის შორის ამ დისკუსიამ, კონტრ-რევოლიუცია კვლავ ივსება იმედით ჩვენი პარტიის დარღვევის და დასუსტების მოლოდინში. მაგრამ როგორც ყოველთვის ისე ეხლაც ჩვენი მტრები სასტიკად ცდებიან.

მე-14 პარტიულ ყრილობიდან პარტია გამოვიდა მთლიანი და ფოლადისებური.

„ჩვენი ძირითად ამოცანას წარმოადგენს მკაცრედ გავატაროთ მე-14 ყრილობის ყველა დადგენილებები ცხოვრებაში და მით უზრუნველვყოთ პარტიის მთლიანობა, სიმტკიცე და საბჭოთა კავშირის შემდეგი განვითარება სოციალისტური გზით“.

მოხსენების შემდეგ მომხსენებელმა პასუხი გასცა მრავალი შეკითხვებზე. ამხ. კახიანის მოხსენების გარშემო პარტკონფერენციამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

## რეზოლიუცია.

მოვისმინეთ რა ამხ. კახიანის მოხსენება 14-ტე პარტყრილობის შედეგებზე, კონფერენცია მთლიანად იწონებს პარტყრილობის დადგენილებებს. კონფერენცია სთვლის სრულიად სწორად ამხ. სტალინის მიერ წამოყენებულ და შემდეგ ყრილობის მიერ მიღებულ, ჩვენი რესპუბლიკების განვითარების გენერალურ ხაზს. შექმნილი საერთაშორისო მდგომარეობა და ჩვენი რ[ე]სპუბლიკის ეკონომიურად გ[ან]მტკიცება მოითხოვს კომუნ[ი]სტური პარტიისაგან მთე[ლი] ძალღონით ეცადოს, რათა ჩ[ვე]ნი რესპუბლიკების მეურნეო[ბა] არ შეიქნეს კაპიტალისტ[ურ] მსოფლიო მეურნეობის და[ნამა]ტებათ, არამედ შესაძლებე[ლი] გახდეს ჩვენი მეურნეობისა[თვის] აუცილებელ დამოუკიდებლ[ო]ბის უზრუნველყოფა.

უარყოფა ამ ხაზისა იქნებ[ა] და თანამედროვე მომენტ[ში] ოქტომბრის რევოლიუცი[ის] მონაპოვარზე ხელის აღებ[ა]. ყრილობის ყველა დადგენილ[ე]ბები მაჩვენებელია იმის, რო[მ] პარტია, როგორც აქამდი[ს] ისე დღეს სწორად უდებს ა[ნა]ლიზს შექმნილ მდგომარეობა[ს] და მიყავს ჩვენი საბჭოთა რე[ს]პუბლიკები ლენინის მიერ ნა[]ჩვენები ბოლშევიკური გზით.

ოპოზიციის გამოსვლა პარ[]ტიულ ყრილობაზე, რომელი[ც] უმთავრეს საკითხებში არ ეთა[]ნხმებოდა ცეკას და ყრილობი[ს] უმრავლესობას, მიგვაჩნია სწო[]რი ლენინისტური გზიდან და[]ქანებათ.

მერყეობა ისეთ საკითხებში როგორიც არის ჩვენი მრეწ[]ველობის ხასიათი; ახალი ეკონომიური პოლიტიკის აუცილე[]ბლობა და დამოუკიდებლობა[] სოციალიზმის შენების საკი[]თხი ჩვენს რესპუბლიკებში, მტ[]კიცე კავშირი მუშათა კლასი[ს] და ღარიბი გლეხობის საშუა[]ლო შეძლების გლეხობასთა[ნ] და სხვა, ნიშნავს წინსვლა გა[]ნვითარების იმედების დასუს[]ტებას და პესიმისტურ განწყო[]ბილების გაძლიერებას. ამიტო[მ] აუცილებლად მიგვაჩნია მთელ[ი] ძალღონით შევეცადოთ, რო[მ] პარტიის ყველა წევრს ნათელ[ი] წარმოდგენა ჰქონდეს ამ საკი[]თხებზე.

ჩვენ საქართველოს ყველ[ა] კუთხეებში მომუშავენი ვად[]გენთ, რომ ყოველ ღონისძიე[]ბას ვიხმართ პარტყრილობი[ს] დადგენილებათა ცხოვრებაში[] გატარებისათვის.

ადგილობრივ პარტორგანი[]ზაციასთან ერთად ხელი ხელ[ში] ჩაკიდებული, შევსძლებთ ღა[]რიბ და საშუალო შეძლები[ს] გლეხობის დარაზმვას კულაკი[ს] წინააღმდეგ.

ყრილობის ყველა დადგენილებების გულდასმით შესწავლა და ცხოვრებაში გატარება, წარმოადგენს ჩვენს უწმინდეს ამოცანას. მხოლოდ ერთი მთლიანი ნებისყოფით და თავდადებული მუშაობით, ჩვენ შევსძლებთ ჩვენი საბოლოო მიზნების მიღწევას.

გაუმარჯოს ს. კომპარტიის ხელმძღვანელ შტაბს-ცენტრალურ კომიტეტს!

---

მეორე დივიზიის პოლიტგანის სახელზე მოვიდა მეოთხე ლეგიონიდან შემდეგი მისასალმებელი დეპეშა:

**მეორე დივიზიის პოლიტგანყოფილებას.**

მეოთხე ლეგიონის სადელეგატო კრება დარწმუნებულია, რომ ჩვენი პირველი პარტკონფერენცია იქნება საქმიანი. დარწმუნებულია აგრეთვე მასში, რომ ის სწორი ხაზი მუშაობისა ხელმძღვანელობაში, რო[]მე[] ჰქონდა დღემდე ა[]პოლიტგანყოფილებას, დარჩება და ასეთსავე სწორ და საღ ხელმძღვანელობას გაუწევს ის თავის ნაწილებს მომავალ მუშაობაშიც.

**კრების პრეზიდიუმი.**

# სამხედრო საქმე.

## შეისწავლე კავშირის საქმე.

**კავშირი ბრძოლის დროს—გამარჯვების მთავარი პირობაა.**

ბრძოლაში გამარჯვებისათვის საჭიროა, რათა ჩვენი მოქმედებანი შეთანხმებულ იქნას ერთი—მეორესთან. ამისათვის საჭიროა მუდმივი კავშირი მეომრებს, ნაწილებს, არმიებ შორის და სხვა. უკავშიროდ ვერაფერს გაიგებ, თუ რა ხდება გარშემო, ამიტომ თვითეული მეომარი ან მთელი ნაწილი მოქმედობს თავისებურად, შეუთანხმებლად. ასეთ მოქმედებას დამარცხება მოსდევს, ვინაიდან მტერი ადვილად დაამარცხებს უკავშირო ნაწილს. მაშასადამე კავშირი მეტად მნიშვნელოვანი პირობაა გამარჯვებისათვის.

რადარანაირია კავშირი და როგორ სწარმოებს ისინი?

პირველ ყოვლისა კავშირი უნდა იყოს შინაგანი, ე. ი. თვითეულ მეომარს უნდა ესმოდეს ამოცანა და ნათლად იცოდეს, თუ რა უნდა აკეთოს მან. მხოლოდ ამ შემთხვევაში ეცოდინება მას როგორ მიმართოს თავისი მუშაობა, რათა მას მოჰქონდეს სარგებლობა საერთო საქმისათვის.

მაგრამ ეს ცოტაა, უნდა გქონდეს ცნობები მტრის შესახებ, იმ ადგილის შესახებ, სადაც მოგიწევს მოქმედება, უნდა იცოდე რას აკეთებენ მეზობლები, როგორია მათი მდგომარეობა, მოთავსება და სხვა. ეს ყველა ეს ცნობები უნდა ჰქონდეს თვითეულ მეომარსა და მეთაურს. ხოლო ეს კი შეიძლება კავშირის მოწყობით ყველა ნაწილებ შორის, დაწყებული მცირე ჯგუფიდან, გათავებული მსხვილი ნაწილებით.

კავშირი შეიძლება ტეხნიკური—ტელეფონით, ტელეგრაფით, რადიოთი და სხვა; მხედველობითი (თვალით)—ფლაგები, სანათები, შუშხუნები, საშთანგო ტილოები და სხვა; ბგერითი—წივილა, ხმა, დუდუკი და სხვა; ბოლოს კავშირისათვის ინიშნება მორბედები, სარგებლობენ აგრეთვე მტრედებითა და ძაღლებით.

ტეხნიკური კავშირი ეწყობა შორ მანძილზე მოთავსებულ ნაწილებ შორის, განსაკუთრებით მსხვილ ნაწილებ შორის, კავშირის დანარჩენი სახეები—ახლო მანძილზე მოთავსებულ ნაწილებ შორის.

მაგრამ არ შეიძლება დავკმაყოფილდეთ კავშირის ერთი სახით, ვინაიდან შეიძლება შესწყდეს ის და ნაწილი დარჩება სრულიად მოწყვეტილი ცნობებს. კავშირი განუწყვეტელი უნდა იყოს. ეს უმთავრესი პირობაა.

კავშირის მეორე მთავარი პირობა სისწრაფე და გადაცემის სისწორეა. თავისთავად გასაგებია, რომ დროზე მიღებულ ცნობას მტრის შესახებ ან განკარგულებას დიდი მნიშვნელობა აქვს ომის წარმატებისათვის. პირიქით, ყალბ ცნობებს ან დაგვიანებით მიღებულ განკარგულებას შეუძლია დაღუპოს ნაწილი.

თვითეულ წითელ არმიელს უნდა შეეძლოს სისწორით, ჩქარა და შეგნებულად გადასცეს ყველაფერი, რაც კი მას დავალებული ექნება. ამაზე დამოკიდებულია არა მარტო ბრძოლის წარმატება, არამედ ბევრი მისი ამხანაგების სიცოცხლის დაცვა. აი რატომ გვასწავლის წესდება: მიღებული განკარგულება გაიმეორე, რათა გზაში არ დაგავიწყდეს და რაც მთავარია, სისწორით გაიგო და არ აურიო.

ვ.

## როგორი ჭურვებით ისვრის არტილერია.

ყველა ჭურვები, რომლითაც ისვრის არტილერია, თავის დანიშნულების მიხედვით იყოფა სამ სახედ: კარტეჩიანი ჭურვები (შრაპნელი(, საფუგასო (გრანატა, ბომბი) და დაკვრითი მოქმედების.

ამ ჭურვების დანიშნულება შემდეგია: შრაპნელი იხმარება ცოცხალი მიზნების (ადამიანების, ცხენების) შესამუსრავად; გრანატა და ბომბი ერთი მეორისაგან განირჩევა იმით, რომ გრანატა იწონის ერთ ფუდამდი, ხოლო ბომბი—1 ფუთიდან ზევით (იხმარება სხვადასხვა გამაგრებული ადგილებისა და სიმაგრეების დასანგრევად); და ბოლოს, ჭურვების მესამე სახე—ეგრედ წოდებული დაკვრითი მოქმედების, რომლის დანიშნულებაა ჯავშნის გაჭრა, რომელიც გარს აკრავს სამხედრო საზღვაო გემს, ტანკას, ჯავშნიან მატარებელსა და სხვას.

ყველა ამ ჭურვებს აქვს სხვა და სხვა აგებულება: შრაპნელს აქვს მაგარი ფოლადის მასრი და თავი სადისტანციო მილით. მასრში ჯერ მოთავსებულია ამაფეთქებელი ნივთიერება და შემდეგ რგვალი ტყვიები. შრაპნელის გახეთქის დროს ყველა ეს რგვალი ტყვიები (3 დიუმიან ჭურვაში ასეთი ტყვიის რაოდენობა 260-ს უდრის, 6 დიუმიანში—680 ცალს) გაიფანტებიან და მუსრავენ გარშემო ყველაფერს.

შრაპნელი შეიძლება აფეთქდეს განსაზღვრულ დროში (სადისტანციო მილი გამოანგარიშებულია წვის მთელ დროისთვის—22—36 წამით, იმის და მიხედვით, თუ რა მანძილი უნდა გაიაროს ჭურვამ). შრაპნელის აფეთქება შეიძლება ზარბაზნის ლულიდან გამოვარდნისთანავე. შრაპნელის აფეთქების ასეთი ხერი იხმარება მაშინ, როცა მოპირდაპირე იერიშზე გადმოდის და ამას ეწოდება „კარტეჩით სროლა“.

გრანატა და ბომბას ისეთივე აგებულობა აქვთ, როგორც შრაპნელს, მხოლოდ ტყვია შიგ მასრაში არ არის. მასრი ივსება ამაფეთქებელ ნივთიერებით. ჭურვის კედლები შრაპნელისაზე უფრო თხელია, ხოლო ჭურვი კი უფრო გრძელი. გრანატა და ბომბი სქდება რაიმე საგანზე ან მიწაზე დაცემით. სქდება რა იმ დროს, როცა შედის რაიმე საგანში, გრანატა და ბომბი იწვევენ დიდ ნგრევას, ხოლო ნამტვრევებით მუსრავენ ცოცხალ მიზნებს. არის გრანატები, რომლებიც სქდებიან ჰერშია და იქიდან მოქმედებენ ნამტვრევებით.

დაკვრითი მოქმედების ჭურვები მზადდება ერთგვარ გამობრძმედილ ფოლადისაგან და სქელი კედლები აქვთ. ეს ჭურვა ისეა მოწყობილი, რომ ჯერ გაჰხვრეტს მიზანს და შემდეგ სქდება. ხოლო ჭურვა რომ ჯავშანზე არ დასხლტეს, ჯავშანის მჰრელ ჭურვას თავს გაუკეთებენ უფრო რბილი ფოლადისაგან.

ი. ზ.

# ჩვენი წითელი ჯარის ცხოვრება და მუშაობა.

## როგორ მუშაობენ ჩვენი ცვალებადელები.

მე-4 ლეგიონი.

ცვალებადელები, რომლებიც უკვე დაბრუნდნენ სახლში და ეწევიან მეურნეობას, არ ივიწყებენ თავიანთ ყაზარმას და ყაზარმაში მიღებული ცოდნა გადააქვთ ფართე მასაში.

აი მაგალითიც:

ატენის თემში თავისი თაოსნობით მოუხდენიათ კრება ჩვენი ლეგიონის ცვალებადელებს და უვადო შვებულებაში მყოფ წითელ არმიელებს, სადაც დაუდგენიათ მოაწყონ სამხედრო კუთხე და დახმარებისათვის მიმართონ ლეგიონს. ასეც ხდება კრება აგზავნის თავის დელეგატს ოქმით ხელში და თხოულობს დახმარებას.

ლეგიონმა ამას დიდი ყურადღება მიაქცია და უწევს ყოველგვარ დახმარებას.

ასეთი აქტიობა, რომელიც გამოიჩინა ატენის თემის ცვალებადელებმა მაჩვენებელია იმის რომ, ამხანაგებს შეგნებული აქვთ ტერ-სისტემის სიდიადე და მშრომელთა გასამხედროების აუცილებლობა.

ხაინტერესო ის არის, რომ თითქმის ყველა ამხანაგები არიან უპარტიონი.

ამხ. ცვალებადელებო და უვადო შვებულებაში მყოფ წითელარმიელებო, მიბაძეთ ატენის თემის ცვალებადელებს, თქვენც მოაწყვეთ სამხედრო კუთხეები.

სამხკორი დანა.

## ლენინის გარდაცვალების 2 წლის თავის აღსანიშნავი მიტინგი ჩვენთან.

1-ლი ლეგიონი.

22 იანვარს შესდგა ლენინის გარდაცვალების 2 წლის თავის აღსანიშნავი მიტინგი ტყავტრესტის მუშებსა და დიღომის გლეხებთან ერთად. მიტინგი გახსნა ამხ. სამხკომის მოადგილემ. სიტყვით გამოვიდა ცენტრალურ კომიტეტის მდივანი ამხ. თოდრია, ტყავტრესტის მუშების წარმომადგენელი და სხვა მრავალი ამხანაგები, რომლებმაც გაგვაცნეს ამხ. ლენინის ფართო მოღვაწეობა.

მიტინგის გახსნამდე ამხ. ბიბგამგემ მიიწვია გლეხები და დაურიგა გაზეთები, ჟურნალები და სხვა და სხვა საკითხების შესახებ წიგნაკები, რამაც დიდი აღტაცება გამოიწვია გლეხებში. ერთმა გლეხმა სთქვა: „ერთი შვილი მყავს და იმის ჯარში წაყვანას ვშიშობდი, ეხლა კი რას ვხედავ, ცხოვრება და განათლება აქ ყოფილა. ეხლა კი გამოვგზავნი ჩემს შვილს ჯარშიო“.

შემდეგ მუშებმა და გლეხებმა დაათვალიერეს წითელარმიელების საცხოვრებელი ბინები და ნასიამოვნები დაიშალნენ და გასწიეს თავთავიანთ სახლებისაკენ.

წ. ა. დედანა.

## დავაარსეთ ახკომკავშირელთა სკოლა.

1-ლი ლეგიონის მე-4 ასეული.

ჩვენი ასეულის კომკავშირის ჯგუფიც შეუდგა მუშაობას. დაარსებული იქნა ახკომკავშირის სკოლა, სადაც დაიწყო მეცადინეობა 16 იანვრიდან. პირველი მეცადინეობა საერთო აღფრთოვანებაში იქნა ჩატარებული. ჯგუფის ხელმძღვანელად დანიშნული იქნა კარგად მომზადებული ამხანაგი, რომელიც ყოველ შაბათობით ჩაატარებს მეცადინეობას.

იმედია ამხანაგი შესძლებს ჯგუფის შესაფერად მომზადებას და ამისთვის ის არ დაშურავს თავის ენერგიას. ჩვენი მხრივ კი ყოველმხრივად ვეცდებით იმ მიზნების განხორციელებას, რომელიც სდგას ჩვენი კავშირის წინაშე.

სამხკორი ბ. თათულოვი.

## ჩვენც გვინდა პოლიტ-საათი.

5-თე ლეგ. ქსენონი.

ლეგიონის ქსენონში ვმსახურებთ 5-თი წითელ არმიელი სანიტრებათ, რომლებსაც საშვალება არა გვაქვს სისტემატიურად დავესწროთ პოლიტ-საათებს. ჯარში გამოწვევის დღიდან, მხოლოდ სამჯერ დავესწარით პოლიტ-მეცადინეობას.

იმედია ამ გარემოებას ყურადღებას მიაქცევენ ჩვენი მესვეურები და მოგვცემენ საშვალებას ჩვენც შევიძინოთ ცოტა რამ. რაც დრო გაგვიცდა იგიც საკმარისია და აწი მაინც ნუ დაგვაკარგვინებენ დროს ტყუილად.

წ. არმ. გ. რ.

## შეფიც ასეთი უნდა.

2-ე ლეგ. მე-2 ათასეული.

ჩვენს ათასეულს შეფათ ყავს ოზურგეთის განათლების მუშაკთა კავშირი, რომელიც დიდ დახმარებას უწევს ათასეულს. ათასეულმა მიიღო თუ არა ახალწვეული წითელ არმიელები, შეფმა აქედანვე მოგვაქცია სათანადო ყურადღება და შეუდგა მუშაობას წერა-კითხვის უცოდინარეობის ლიკვიდაციისათვის ათასეულში.

შეფმა გადმოგვცა აუარება ფანქრები, რვეულები, წიგნები და სხვა სამოსწავლო ნივთები. ამასთანავე ერთად ადგილობრივ სკოლაში წერა-კითხვის უცოდინარ წითელ არმიელებისათვის გამოყო ექვსი ოთახი. ამნაირად, ენერგიული შეფის წყალობით ამ დარგში ათასეული ყოველმხრივად დაკმაყოფილებულია. წერა კითხვის უცოდინარეობას სულ მალე მოეღება ბოლო ჩვენს ათასეულში.

წითელ არმიელები მადლობას უხდიან ჩვენს შეფს ასეთი ენერგიული დახმარებისათვის.

პარტკორი ლევმაშვილი.

## ჩვენი სამხედრო სამეცნიერო წრე.

2-ე ლეგიონი.

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ლეგიონში ჩამოყალიბდა სამხედრო სამეცნიერო წრე. ამ ხნის განმავლობაში წრეში ბევრი რამ გაკეთდა და მრავალი საგულისხმო საკითხები იქნა გარჩეული.

პირველ ხანებში წრის მუშაობას ის ნაკლი ჰქონდა, რომ მოხსენებები ნახევრად რუსულ ენაზე სწარმოებდა, რის გამო აუდიტორია ველარ იჩენდა ამა თუ იმ საკითხების გარჩევის დროს აქტიურობას, მაგრამ ამ ჟამად ეს ნაკლი გამოსწორებული იქნა. მოხსენებები კეთდება ქართულად და თუ წინად მასა უხმოდ იჯდა, ეხლა თითქმის ყველა მონაწილეობას იღებს კამათში.

წრემ არ უნდა გადაუხვიოს ამ უკანასკნელად აღებულ გზას და ქართულად კეთდებოდეს მოხსენებები, რადგან ამის ნაყოფიერება აშკარად სჩანდა 18 იანვარს წრეში ქართულად გაკეთებული მოხსენებიდან. მაშინ უფრო დიდი შედეგები ექნება ჩვენს მუშაობას.

სამხკორი ეკნარი.

## ჩვენი საქმიანობა

მე-5 ლეგ. სკოლა.

ორი თვე გავიდა რაც ლეგიონის სკოლაში სისტემატიურად სწარმოებს მეცადინეობა. პირველ ხანებში კურსანტებს ეხამუშებოდათ სკოლის პირობებში ცხოვრება და მეცადინეობა, მაგრამ რაკი შეისისხლხორცეს სამხედრო დისციპლინა და გაეცვნენ მის მნიშვნელობას წარსული მოგონება ეზარებათ და მთელი არსებით სცდილობენ რაც შეიძლება მეტი ცოდნა შეიძინონ.

მრავალი წაახალისა იმ გარემოებამ, რომ კარგი ყოფაქცევის გამო, მიანდვეს ზოგიერთი საპასუხისმგებლო საქმეები და გადიან პრაქტიკაზე, როგორც მომავალი უმცროსი მეთაურები.

ახკომკავშირისა და პარტუჯრედებმა მასაში გადაიტანეს თავისი მოქმედება. როგორც კომუჯრედმა, ისე ახკომკავშირმა გამოუშვეს საკუთარი კედლის გაზეთები. გაზეთების გარშემო ჩამოყალიბებულია სამხკორთა წრეები. სკოლაში ჩამოყალიბებული იქნა აგრეთვე დრამწრე, რომელიც ხშირად მართავს წარმოდგენებს. ეწყობა აგრეთვე გასამართლებები. უკანასკნელად მოეწყო გოგია უიშვილის ლიტერატურული გასამართლება. მოეწყო რემეჯასისა და ავიოქიმის უჯრედები, რომლებშიდაც ჩაწერილია 70 კურსანტამდე.

არის ზოგიერთი ნაკლულევანება კურსანტებში, როგორც მაგალითად გაზეთების არასისტემატიურად კითხვა, რომელიც უმთავრესად მოუცლელობით არის გამოწვეული, მაგრამ იმედია ამასაც ჩქარა მოეღება ბოლო.

სამხკორი მოსე ჭყონია.

## ბიბლიოთეკამ მოაწყო ხმამაღალი კითხვა.

6-ხე ლეგ. 8-რვე ასეული

მიუხედავად იმისა, რომ ბიბლიოთეკას არ მოეპოვებოდა მრავალი ტეხნიკური საშვალებანი, მან მანც შესძლო ადგილობრივ ქოხ-სამკითხველოსთან შესაფერი კავშირის დაჭერა და იქ ხმამაღალი კითხვის მოწყობა. ამასგარდა მოეწყო საუბარი ბიბლიოთეკის მნიშვნელობასა და მისი ტეხნიკურად მოწყობის შესახებ. ჩატარებული იქნა საუბარი აგრეთვე წიგნით სარგებლობის შესახებ.

ამ უკანასკნელ ხანებში ბიბლიოთეკამ თავისი მუშაობის მეოხებით შეიძინა 43 ახალი მკითხველი.

ბიბგამგემ გაზეთის კითხვაში დაინტერესების მიზნით ამაზეც შემოიღო ხელის მოწერა. გაზეთებს სისტემატიურად ვღებულობთ.

დიდი დახმარება გაგვიწია ამხანაგების დაინტერესებაში კითხვა-პასუხის რვეულმა, რომელსაც ხელმძღვანელობდენ ასეულის მეთაური და პოლიტხელი. ბიბლიოთეკამ ამასგარდა მოაწყო სხვადასხვა გასართობები, როგორც მაგალითად თვით მოქმედების საღამოები და სხვა.

ასე მუშაობს ჩვენი ბიბლიოთეკა.

სამხკორი გ. ფოცხიშვილი.

## ჩვენი პარტიის და კომკავშირის ცხოვრება

### მუშაობა გამოცოცხლდა.

2-რე ლეგიონი.

ლეგიონში პარტიული მუშაობა ძლიერ გამოცხოველდა ამ უკანასკნელ ხანებში. ყველა ასეულები ენერგიულად ჩაებენ საქმიანობაში. უჯრედებში ირჩევა უფრო საჭირბოროტო საკითხები. პარტიული ამხანაგები უფრო და უფრო ებმებიან საერთო საქმიანობაში, რაც დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს. უჯრედი ყველა ამხანაგებზე ანაწილებს პარტ-დავალებებს, ყველას ევალება ის, რის შესრულებაც შეუძლია.

აქამდეც გვქონდა კავშირი პირველ რუსულ ლეგიონთან, მაგრამ ამ უკანასკნელ ხანებში ეს დამოკიდებულება უფრო გაცხოველდა. ხშირად ვესწრებით მათ კრებებს, ვეცნობით მათ საქმიანობას და ასევე ისინი ჩვენსას.

დამსწრე რუს ამხანაგებისათვის სპეციალურად დანიშნულია თარჯიმანი, რომელიც უთარგმნის მათ კრების შინაარსს და ამნაირად პირდაპირ მონაწილეობას ღებულობენ ისინი ჩვენთან.

საჭიროა მხოლოდ მეტი ყურადღება მიექცეს კომკავშირის მუშაობას, რომელიც ცოტა მოისუსტებს ამ ბოლო ხანებში.

პარტკორი ვ. ლ.

## მეცადინეობა წარმატებით დამთავრდა.

გურჯაანის წერტი.

წერტზე გამოცდები დაგვინიშნეს 15 იანვარს. ზოგიერთ ამხანაგებს ეშინოდათ ამ გარემოების, მაგრამ როდესაც გაიგეს, რომ გამოკითხვა იწარმოებდა განვლილიდან ყველა გათამამდენ და ღირსეულადაც ჩააბარეს გამოცდები.

გამოცდების შემდეგ გაგვშინჯა ექიმმა, დაგვზომა, აგვწონეს და შემდეგ დაგვირიგეს წიგნაკები, სადაც აღნიშნული იყო თუ პროგრამის რამდენი საათი გავიარეთ და როგორ შევისწავლეთ სამხედრო საქმე. ამავე დღეს გამოვემშვიდობეთ ჩვენს ხელმძღვანელებს და მრავალი დავალებებით გაუდექით გზას სახლებისაკენ.

მეცადინეობის მთელი ხნის განმავლობაში, ჩვენ ბევრი რამ გავაკეთეთ. დაარსებული იყო დრამწრე, რომელმაც მოაწყო სამი უფასო წარმოდგენა. ყოველთვის აუარება ხალხი ესწრებოდა. უმთავრესად იდგმებოდა რევოლიუციონური ხასიათის პიესები, კომედიები და ცოცხალი სურათები. მეთაურები ყოველღონეს მიმართავდენ, რომ მათ მუშაობას ჩვენში ტყვილა არ ჩაევლო და ცდილობდე რაც შეიძლება კარგათ შეეთვისებიათ ჩვენთვის სამხედრო და პოლიტიკური საქმე.

გულითადი სალამი ამ ამხანაგებს ასეთი ყურადღებისათვის და ჩვენი მხრივ ვეცდებით პირნათლად შევასრულოთ სოფლად ყველა დავალებები.

წვევამდელი
გ. ქათამაშვილი.

## 1905 წელი

### პირად მოგონებიდან

(გაგრძელება)

დიდი დახმარება გაგვიწია გლეხებმა, რომლებიც ქალაქში მოდიოდენ. მათი დახმარებით მოუყარეთ თავი დაჩეხილ თავების ნაწილებს და დახოცილი ხუთი წითელ რაზმელი ურმებით გავაგზავნეთ თავიანთ სოფლებში. როდესაც მოვათავეთ საქმე და უნდა წამოვსულიყავით, გაგვაგებინეს, რომ აქვე ახლოს წისქვილში ერთი წ. რაზმელია დაჭრილიო.

ჩვენც გავეშურეთ და ვნახეთ სისხლისგან გაცივებული ოცი წლის ახალგაზრდა, რომელსაც მსუბუქი ჭრილობა ჰქონდა თავზედ. ჩვენ დავამშვიდეთ და ჭრილობა შეუხვიეთ. შემდეგ გამოვკითხეთ საქმის მდგომარეობა. მან გადმოგვცა:

„ჩვენ ვიყავით წითელ რაზმელები, რომლებიც ვყარაულობდით ზესტაფონისკენ მიმავალ გზას და აგრეთვე ვიცავდით რკინის გზის ნავთის მილებს. გარეთ გვყავდა გზირები და თუ რამე სახიფათოს შენიშნავდენ, უნდა შეეტყობინებიათ. ჩვენ ცოტა ღვინო დავლიეთ და ყველას წაგვეძინა. უეცრათ შემოვარდა წისქვილში ჩვენი გზირი და დაიყვირა—თავს უშველეთ ყაზახები მოდიანო. ზოგმა თავს უშველა გაქცევით. რვა ამხანაგი ჩაგვიგდეს ხელში. ჩვენ საჩიტე თოფები გვქონდა ყველას. ოფიცრებმა ასლო ფისტონიანი თოფი ჩახმახით მიარტყა კედელს, თოფი გავარდა და საფანტი მუცელში მოხვდა ოფიცერს.

ოფიცერი სიმწარისაგან გმინავდა. ამ დროს ჩვენ იქვე კინალამ ჩაგვხოცეს. შემდეგ წამოგვიყვანეს და როდესაც ხიდზედ შევდექით რაღაცა ჩაილაპარაკეს ყაზახებმა, ერთმა ჩვენმა ამხანაგმა (ნასალდათევი იყო) დაგვიძახა: „არიქა ბიჭებო თავს უშველეთო". მეავიწიე და გადავხტი ხიდიდან. მაგრამ მაინც მომასწრეს და დამჭრეს. დანარჩენების ამბავი კარგათ არ ვიცი, მგონი დახოცილები არიან".

ამ სიტყვების შემდეგ კიდევ დავაწყნარეთ და გაუშვით თავის სახლში. ბოლოს გამოირკვა, რომ ორი ცოცხალი წაეყვანათ ყაზახებს ყაზარმაში, რომელნიც გუბერნატორ სტაროსელსკის დახმარებით იქნენ გათავისუფლებული.

დახოცილ წ. რაზმელების დასაფლავება მოხდა მესამე დღეს. დაესწრო ყველა პარტიების წარმომადგენლები, სადაც ორატორები აღნიშნავდენ ყაზახების მხეცურ მოქმედებას.

მე მგონია რომ კარგი იქნებოდა ქუთაისის ორგანიზაცია იმ ადგილას, სადაც ექვსი ახალგაზრდა წითელ რაზმელები იქნენ შავრაზმელ ყაზახების მიერ ჩაჩეხილი. მათი ხსოვნის აღსანიშნავათ აუგებდეს მათ ძეგლს.

ხ. ლომიძე.

## ამხ. ამხ. წითელარმიელებო, გამოიწერეთ და გაავრცელეთ თქვენი გაზეთი „წითელი არმიელი"

## ახალი ამბები.

— 1902 წ. დაბადებულ ცვალებადელთა შორის წერა კითხვა კარგათ შეუსწავლია 786 კაცს.

— **ფარმაცევტთა კურსები** ტფილისში უკვე გაიხსნა ფარმაცევტთა კურსები, რომელზედაც მეცადინეობა სწარმოებს რუსულ და ქართულ ენაზე.

— **მანქანიანი გუთნები.** ა.-კ. საგარეო ვაჭრობის კომისარიატმა შვეციის ფირმა „ავანსი"-დან მიიღო ორი მოტორიანი გუთანი.

— **დაზღვეულთა მკურნალობა.** სოც. დაზღვევის სამართველომ ქობულეთში და სოხუმში გაგზავნა დაზღვეულთა მეორე წყება საექიმოთ.

ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ ა.

— **სალამო სამხ. პირთათვის.** ხვალ წითელ არმიელთა ცენტ. კლუბში გაიმართება სალამო უფროს პოლიტშემადგენლობისა და მათი ოჯახებისათვის.

— **საბავშო კინო.** დღეს კინო „არფასტოში" გაიმართება კინო სეანსი ბავშვებისათვის.

„მჭედელი" მიქავა. დასრულდა ახალი კინო სურათის „მჭედელი მიქავას" გადაღება. სურათი გამოშვებულ იქნება ერთ თვეში.

## მეცნიერება და ტეხნიკა

**სურათების გადაღება ღამით.**

ამერიკელ ინჟინერებმა მოახერხეს ჰაეროპლანებიდან ღამით ფოტოგრაფიული სურათების გადაღება, რომლის დროსაც, აფრენის ხანებში ანთებული იქნა ძლიერი სინათლის შუშხუნა 50-თი გირვანქას დატენილობით. რადგანაც ეს ცდა წარმატებით დამთავრდა, გადაწყვეტილი იქნა მისი განმეორება უფრო დიდი მასშტაბით, ღამით ქალაქ ნიუორკის გადასაღებათ.

ამ მიზნით ყუმბარმზიდავის ქვევიდან ჩამოჰკიდებენ დიდი რაოდენობით დატენილობის შუშხუნას, რომელიც საჭიროების დროს აფეთქებული იქნება ჰაეროპლანიდან ელექტრონული ნაპერწკლის საშვალებით. რაკეტა იწვის და ანათებს 7 წუთის განმავლობაში და როდესაც სინათლე მიაღწევს მაქსიმუმს, მოხდება სურათის გადაღება.

**სახლის სახურავი—ჰაეროპლანების დასაფრენი ადგილი.**

ამჟამად ქალ. ჩიკაგოში (ამერიკა) აშენებენ უზარმაზარ შენობას ცენტრალური ფოსტისათვის. შენობის პროექტში სხვათაშორის შეტანილია, რომ ფოსტის შენობის სახურავზე მოწყობილი უნდა იქნეს ჰაეროპლანების დასაფრენი ადგილი. შენობის აშენებისათვის გადადებულია 15 მილიონი დოლარი (30 მილიონი მანეთი).

შენობა შეიცავს ორ კვარტალს და მისი სახურავი იმდენად დიდი იქნება, რომ სულ ადვილად შეიძლება იწარმოოს იქიდან თანამედროვე საფოსტო ჰაეროპლანების აფრენა და დაფრენა.

ეს გარემოება ხელსაყრელია იმიტომ, რომ საჭირო აღარ იქნება მთელი ფოსტის (ამანათების, წერილების და სხვათა) ავტომობილებით წაღება ჰაეროდრომზე (ჰაეროპლანების დასაფრენი ადგილი) და იქიდან ფოსტაში მიტანა, რასაც უნდება ორი საათი დრო, რომლის განმავლობაში ჰაეროპლანს სულ უკანასკნელი უკვე შეუძლია გაიაროს 300 ვერსი მანძილი.

**მფრინავი ნავი „ლატამი".**

საფრანგეთში ერთ გამოჩენილ ფირმამ გამოუშვა უზარმაზარი ჰიდრო ჰაეროპლანი, რომელიც იწონის 670 ფუთს, ამ ფრინავ ნავზე მოთავსებულია 4-ხი მოტორი. მისი ფრთების აგებულება ისეთივეა, როგორც ჩვეულებრივი ჰაეროპლანებისდა განსხვავდება ამ უკანასკნელებისაგან მხოლოდ თავისი სიდიდით. ნავის სიგრძე უდრის 10 საჟენს.

მასზე თავსდება ფრთების წინ ორი მფრინავი მხარდამხარ. ამას გარდა ნავზე მოწყობილია სპეციალური ადგილი ტყვიამფრქვევიდან მსროლელისათვის, მეყუმბრისათვის და სხვა.

ნავს შეუძლია 160 ვერსის გავლა საათში და ამასთანავე ერთად 200 ფუთი სიმძიმის წაღება.

## აბა გამოიცანი?

ამოცანა № 1.

ქუთაისიდან თბილისამდე მატარებელი უნდება ერთ დღე და ღამე—24 საათი. ვსთქვათ ამ მონძილებს შორის ორლიანდაგიანი რკინის გზა არის. ე. ი. ერთდაიმავე დროს იქედანაც და აქედანაც შეიძლება მატარებლების სიარული.

ვსთქვათ ქუთაისიდან ყოველ საათში გამოდის თბილისისაკენ მატარებელი. ამავე დროს ვჯდებით თბილისიდან გასულ მატარებელში და იმავე სიჩქარით, როგორც ქუთაისიდან მოდიან მატარებლები ჩვენც გავემართეთ ქუთაისისაკენ. გამოსარკვევია, რამდენ მატარებელს შევხვდებით გზაში ქუთაისში ჩასვლამდე ამ 24 საათის განმავლობაში?

## ვის აქვს საწინააღმდეგო?

ქართულ მეთაურთა სამხ. სკოლის მე-2-რე კომ-უჯრედში შემოტანილი აქვს განცხადება: ამხ. ანდრო გელოვანს, კომპარტიის კანდიდატად გადასვლის შესახებ, კომკავშირის წევრი 1924 წლიდან, ინტელიგენტი, ქართ. მეთ. სამხ. სკოლის პოლიტმასწავლებელი.

თუ ვინმემ რაიმე იცის უარყოფითი ზემოხსენებულ ამხანაგის შესახებ გთხოვთ გვაცნობოთ ერთი კვირის განმავლობაში.

ქართ. მეთ. სამხ. სკოლის მე-2-რე კომ-უჯრედის ბიურო.

## განცხადება

წინასწარი გამოცდები სასროლო შეჯიბრში მონაწილეობისათვის ქალაქ ტფილისის პირველობაზე დაიწყება კვირას, ა. წ. 24 იანვარს.

ვინაიდან ყველა მონაწილეთა ჩატარება ერთ დღეს შეუძლებელია, ისინი უნდა გამოცხადდენ შემდეგი რიგით:

24 იანვარს დილის 9 საათზე ვაკეში—მთავარ სახელოსნოებიდან და ყველა სამოქალაქო ორგანიზაციებიდან, შტაბები, სამმართველოები და დაწესებულებები.

25 იანვარს 9 საათზე, იქვე—უმაღლესი სასწავლებლები და სამხედრო ნაწილები.

ქალაქის კომენდანტი აბაშიძე.


## რა ღირს „წითელი არმიელი"!!

ცალკე ხელის მომწერთათვის:

1 თვით — 50 კაპ.
3 თვით — 1 მ. 35 კ.
6 თვით — 2 მ. 50 კ.
12 თვით — 5 მან.

წითელ-არმიელებისათვის კოლექტიური ხელისმოწერა არა ნაკლებ 10 ცალისა:

1 თვით — 40 კაპ.
3 თვით — 1 მ. 10 კ.
6 თვით — 2 მ.
12 თვით — 3 მ. 80 კაპ.

ცვალებადელთათვის სოფელში გადაგზავნით იგივე რაც წითელ არმიელებისათვის



გაავრცელე

## ამხანაგო წითელ არმიელო!

გახსოვდეს შენი მოვალეობა.
გმართებს არაჩვეულებრივი მზრუნველობა.
ყოველ დღე შეეკითხე შენს თავს—
რა გააკეთე მთელი დღის განმავლობაში,
რამდენი ხელისმომწერი უშოვე
„წითელ არმიელ"-ს

გამოიწერე


## დავკარგე

საკანდიდატო ბარათი № 2804 ტერან ალექსანდრეს-ძე თანდილოვის სახელზე, გაცემული 1-ლ ქართ. მსრ. დივპარტკომისიის მიერ ჩაითვალოს გაუქმებულად.

ნ. დ. ს. ც.   სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3.   პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე